მორის შალიკაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

ზურაბ გოგშელიძე - თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

შოთა ფოთოლაშვილი - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ალექსანდრე გიორგიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის უფროსი - კომისიის წევრი;

მაია მაისურაძე - თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ეკა კუჭუხიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

მიხეილ ჩუბინიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ნიკა ტეფნაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის სპეციალისტის პოზიციაზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტუდენტთა მომსახურების ჯგუფში სპეციალისტის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტუდენტთა მომსახურების ჯგუფში სპეციალისტის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია დაუსწრებლად აფასებს აპლიკანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის განსაზღვრულ იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტუდენტთა მომსახურების ჯგუფში სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.

4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სტუდენტთა მომსახურების ჯგუფში სპეციალისტის პოზიციაზე შერჩეულად ჩაითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატი დაინიშნება აღნიშნულ პოზიციაზე და გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.